

შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი კითხვები:

1. გთხოვთ, განგვიმარტოთ და გვაცნობოთ თქვენი ხედვა, თუ როგორ (რა პრინციპით/მოდელით) მოხდება კომისიის მიერ 5G ტექნოლოგიის დასანერგად შემოთავაზებული სიხშირული დიაპაზონების (აუთვისებლის) – 700 მგჰც, 3400 – 3600 მგჰც, 26.5 – 27.5 გჰც გასხვისება ან განაწილება?

მოხდება თუ არა სიხშირული დიაპაზონების ქეფირება და თუ მოხდება, დეტალურად განგვიმარტოთ აღნიშნული საკითხი, მისი პრინციპები.

კომისიის პასუხი: კომისიის მიერ შეთავაზებულ დიაპაზონებში 700 მგჰც და 3400 – 3600 მგჰც - რესურსის ლიცენზირება მოხდება აუქციონის წესით. ამ ეტაპზე კომისია მოახდენს 5G-ს განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო დოკუმენტის შეთანხმებას და დამტკიცებას. ხოლო უშუალოდ აუქციონის გამოცხადების წინ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, კომისია სამუშაო რეჟიმში გამოაქვეყნებს ჩასატარებელი აუქციონის გადანყვეტილების პროექტს. აღნიშნულ დოკუმენტში არსებული მოთხოვნისა და საბაზრო მოცემულობის გათვალისწინებით აღწერილი იქნება, მათ შორის ქეფირების პირობის მიზანშეწონილობა და დეტალები.

რაც შეეხება 27 გჰც დიაპაზონს - 2019 წლის ბოლოსთვის იგეგმება ევროპაში ამ ზოლის დამტკიცება 5G-სთვის. ამის შემდეგ კომისია განსაზღვრავს აღნიშნული სიხშირული რესურსის ლიცენზირების საკითხს.

2. 5G ტექნოლოგიის დასანერგად თუ იქნება შესაძლებელი ოპერატორების მფლობელობაში არსებული სხვა (არა დოკუმენტით შემოთავაზებული) რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება თავისუფლად, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით?

ხომ არ აპირებს კომისია დაანსოს გარკვეული შეზღუდვები 5G ტექნოლოგიის დასანერგად სხვა აუთვისებელი სიხშირეების გამოყენებაზე (ეროვნული გეგმით გათვალისწინებული სიხშირეები, რომელთა მიზნობრიობაში მითითებულია მობილური ან/და 3GPP)?

კომისიის პასუხი: შესაძლებელია ესა თუ ის სიხშირული ზოლი თავისი მახასიათებლებით წინააღმდეგობაში მოდიოდეს 5G-სთვის დადგენილ სტანდარტთან. იმისთვის, რომ კომისიამ განიხილოს ალტერნატიული სიხშირული დიაპაზონების საშუალებით 5G ტექნოლოგიის დანერგვა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ზუსტად რომელ დიაპაზონზეა საუბარი. შესაბამისად თუ კომპანია წარმოადგენს აღნიშნულ ინფორმაციას, კომისია განიხილავს ამ საკითხს.

3. სიხშირის გეოგრაფიული დაყოფის პრინციპის გამოყენების და არასაკმარისი სიხშირული რესურსის არსებობის პირობებში, როგორ/რა პრინციპის დაცვით მოხდება სიხშირეების გადანაწილება/ოპერატორების ინტერესთა გადაკვეთის კოორდინაცია?

კომისიის პასუხი: არსებული მოცემულობით კომისიის მიერ შემოთავაზებულ დიაპაზონებში - 700 მგჰც და 3400-3600 მგჰც, სიხშირული რესურსი სრულიად

საკმარისია ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აუქციონის გამართვამდე შეიძლება ითქვას, რომ კომისია მოიაზრებს 700 მგჰც ღიაპაზონის ლიცენზირებას ეროვნულ დონეზე. რაც შეეხება 3400-3800 მგჰც ზოლს ის შეიძლება გაიყოს როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე ჩაიშალოს ლიცენზიები გეოგრაფიულ ზონებად. ინტერსთა გადაკვეთას კი სრულად აგვარებს სიხშირული რესურსის აუქციონის წესით გაცემა.

4. რა მოდელით/პრინციპების დაცვით განხორციელდება 5G ტექნოლოგიის დასაწერად აუცილებელი სიხშირეების საფასურის დადგენა?

კომისიის პასუხი: კომისია გეგმავს 5G სიხშირული ღიაპაზონისთვის 1 მგჰც სიხშირული რესურსის საწყისი საფასურის განსაზღვრას. საფასურის დასადგენად მიმდინარეობს ტენდერი, რომლის შედეგად შეირჩევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც ამ კუთხით დიდი გამოცდილება ექნება. კომისია გეგმავს სიხშირული რესურსის ღირებულება შეათვასოს ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რათა ფასი მაქსიმალურად ზუსტად შეესაბამებოდეს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის მოცემულობას. ამასთან საფასურის დათვლისას გათვალისწინებული იქნება სალიცენზიო ვალდებულებების ნაწილი, როგორც არის დაფარვის, ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებები, ასევე კომპანიების მხრიდან განხორციელებული და განსახორციელებელი ინვესტიციები.

5. ქვეყნის რომელი ინდუსტრია იქნება 5G ტექნოლოგიის პოტენციური მომხმარებელი, არსებობს თუ არა რაიმე გეგმა/სტრატეგია თუ როგორ, რა მიმართულებით მოხდება მოცემული ტექნოლოგიის გამოყენება, რა თანხები დაიხარჯება ამ ტექნოლოგიის გამოსაყენებლად, რატომ არის აუცილებელი მხოლოდ 5G ტექნოლოგიის გამოყენება ამ მიზნის (თუ მსგავსი არსებობს) მისაღწევად და რატომ ვერ უზრუნველყოფენ არსებული ტექნოლოგიები მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილებას (თუ არსებობს მსგავსი ანალიზი)?

კომისიის პასუხი: კომისიისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ტელეკომუნიკაციის დარგის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოს მთავრობის გეგმების და პრიორიტეტის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ისეთი სფეროების განვითარებას, როგორცაა ელექტრონული მმართველობა (e-governance) და ქვეყნის ინტერნეტიზაცია, კომისია საჭიროდ თვლის 5G ტექნოლოგიის დანერგვისთვის და განვითარებისთვის ბაზისის შექმნას - აღნიშნული ტექნოლოგიისთვის სიხშირული რესურსის განსაზღვრას, გამოთავისუფლებას და ლიცენზირებისთვის გამზადებას. კომისია მიიჩნევს, რომ 5G-ზე მოთხოვნის გაზრდას ხელს შეუწყობს აღნიშნული ტექნოლოგიის და მიმართულებების დანერგვა/განვითარება. 5G ტექნოლოგიაზე მოთხოვნა წარმოიქმნება როგორც საცალო მომხმარებლების მხრიდან, ასევე ინდუსტრიული სექტორიდანაც, რასაც ხელს შეუწყობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავების ეტაპზე მყოფი ფართოზოლოვანი მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული მოთხოვნის

სტიმულირების აქტივობები. შესაბამისად კომისია მიზნად ისახავს დროულად მოამზადოს ბაზისი მომავალში ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

6. გეგმავს თუ არა სახელმწიფო 5G ტექნოლოგიის დანერგვის ხელშეწყობას და ამ ტექნოლოგიის შემდგომ განვითარებას, როგორი იქნება მისი ჩართულობა, რა გეგმები არსებობს ამ მიმართულებით და კონკრეტულად რა ფორმით მოხდება მისი რეალიზაცია/აღსრულება (თუ არსებობს მსგავსი სტრატეგია/ხედვა)?

კომისიის პასუხი: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია მოქმედებს კომუნიკაციების დარგში სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისად. სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალ სიჩქარიანი მობილური და ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტით. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია ქვეყნის ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების კუთხით. ევროკომისიის ხელშეწყობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მსოფლიო ბანკის საექსპერტო ტექნიკური მხარდაჭერით ახორციელებს ფართობლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიას და მისი განხორციელების გეგმის შემუშავებას, მათ შორის 5G ნაწილში.

უშუალოდ კომისია მაქსიმალურად ხელს შეუწყობს 5G-ს დანერგვის ხელსაყრელი წინაპირობების უზრუნველყოფას, როგორცაა ლიცენზირების, ვალდებულებების და სხვა რეგულირების საკითხები, რომელიც მოიცავს 5G-სთვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის საწყისი ღირებულების განსაზღვრას, გამჭვირვალე და მომავალში პროგნოზირებადი პირობების დადგენას. აქვე აღსანიშნავია, რომ კომისია მიესალმება ევროპაში გავრცელებულ ოპერატორების ერთობლივი ინვესტირებით ქსელის განვითარების პრაქტიკას. ასეთი ინიციატივის შემთხვევაში ხდება უფრო ლიბერალური მარეგულირებელი პირობების განსაზღვრა.

7. იგეგმება თუ არა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, რაც აუცილებელია ან სასურველია, რათა ეფექტურად განხორციელდეს 5G ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოში და კონკრეტულად რა ცვლილებებზეა საუბარი და რა ვადაში?

კომისიის პასუხი: კომისიის მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელსაც ევროპულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოჰყავს ქართული კანონმდებლობა და მარეგულირებელი ნორმები. ამ საკანონმდებლო ცვლილებებზე უფრო ვრცელი ინფორმაცია მოცემულია „5G განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის“ დოკუმენტში. აღნიშნული ცვლილებების პაკეტი გადაცემულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის. კომისიის მოლოდინია, რომ 2019 წლის ბოლომდე ეს პაკეტი განხილვისთვის გადაეცემა პარლამენტს. ამ ცვლილებების რეალიზებით კომისია მიზნად ისახავს სიხშირეების მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების გამარტივებას და ლიბერალიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების უფრო სწრაფ და ეფექტურ დანერგვას.

სს „სილქნეტის“ მიერ ხაზგასმულია ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი, რომელიც დაბრკოლებას შექმნის 5G ქსელის დანერგვისას:

1. **სახელმწიფო უწყებების საკუთრებაში არსებული, სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად, პასიურ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ოპერატორების ექსკლუზიურად დაშვების საკითხი.**

ასევე,

ქვეყნის მასშტაბით სამთავრობო/სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უწყებების მიერ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის არაგონივრულად მაღალი თანხების განსაზღვრა.

კომისიის პასუხი: კომისიის მიერ საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტი ეხება 5G-სთვის სიხშირულ რესურსთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. თუმცა კომპანიის კითხვასთან დაკავშირებით კომისიისთვის ცნობილია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მობილური ქსელისთვის გამოყენებად ინფრასტრუქტურაზე არ ვრცელდება არანაირი ექსკლუზიური პირობა. მიმდინარე ეტაპზე დაშვებაზე ნებართვის მიღება ხდება ოპერატორსა და სახელმწიფო უწყებებს შორის შეთანხმების შედეგად, ქსელზე დაშვების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

რაც შეეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელისთვის) პასიურ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებას - კომისიის მიერ უკვე მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა, სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარებასთან დაკავშირებით, რაც ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას 2014/61/EU, რომელიც სრულად მოაგვარებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე დაშვების პრობლემებსა და საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი გადაგზავნილია სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.

2. **მობილური სისტემებისთვის განკუთვნილი რადიოსიხშირული ლიცენზიების მაღალი საფასური**

კომისიის პასუხი: როგორც უკვე აღინიშნა, კომისია გეგმავს 5G სიხშირული დიაპაზონისთვის 1 მგჰც სიხშირული რესურსის სანყისი საფასურის განსაზღვრას. სატენდერო წესით შეირჩევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია. ეს მოგვეცემს შესაძლებლობას კომისიამ რესურსის ღირებულება შეაფასოს ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რათა ფასი მაქსიმალურად ზუსტად შეესაბამებოდეს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის მოცემულობას და აუქციონის გამართვის შემთხვევაში მოხდეს სწორი ტარიფის და რესურსით დაინტერესების ფაქტორების თანხვედრა. ამასთან ერთად კომისიისთვის მნიშვნელოვანია სიხშირული სპექტრის გამოყენებასთან დაკავშირებული გამჭვირვალე და სამომავლო პროგნოზირებადი პირობების უზრუნველყოფა. ასევე, კომისიის მიერ შემუშავებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოიზარებს, როგორც სიხშირული რესურსის ლიცენზირებისთვის აუქციონისგან განსხვავებული ფორმების განსაზღვრას, ასევე

სიხშირული რესურსის სატესტო რეჟიმში გადაცემის საკითხის რეგულირებას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ დიდ როლს ითამაშებს რეგულირების ლიბერალიზაციის კუთხით.

შპს „ვიონი საქართველო“-ს მიერ წარმოდგენილი საკითხები:

1. სპექტრი თანაბრად უნდა განაწილდეს ყველა ოპერატორს შორის, ტექნოლოგიის ნეიტრალიტეტის პირობებში.

კომისიის პასუხი: კომისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ეფექტურად მართოს სიხშირული რესურსი, ბაზრის მოთხოვნასთან და დარგის განვითარებასთან შესაბამისობაში. კომისია სიხშირული რესურსის მოთხოვნის შემთხვევაში მართავს აუქციონს, სადაც თანამედროვე წესების და ტენდენციების გათვალისწინებით სიხშირული რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის.

2. 5G ტექნოლოგიისთვის განკუთვნილი სიხშირეების ფასების განსაზღვრის მოდელი უნდა იყოს განსხვავებული არსებული მოდელისგან.

კომისიის პასუხი: როგორც წინა კომენტარებში იყო აღნიშნული კომისია გეგმავს 5G სიხშირული დიაპაზონისთვის 1 მგჰც სიხშირული რესურსის სანყისი საფასურის განსაზღვრას. საფასურის დასადგენად მიმდინარეობს ტენდერი, რომლის შედეგად შეირჩევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც ამ კუთხით დიდი გამოცდილება ექნება. კომისია გეგმავს სიხშირული რესურსის ღირებულება შეაფასოს ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რათა ფასი მაქსიმალურად ზუსტად შეესაბამებოდეს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის მოცემულობას. ამასთან საფასურის დათვლისას გათვალისწინებული იქნება სალიცენზიო ვალდებულებების ნაწილი, როგორც არის დაფარვის, ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებები, ასევე კომპანიების მხრიდან განხორციელებული და განსახორციელებელი ინვესტიციები.

3. 5G ქსელის მშენებლობა უნდა განხორციელდეს Joint Venture (ერთობლივი საწარმოს) მიერ, რათა ქსელის განვითარებისთვის ხარჯები განაწილდეს ოპერატორებს შორის, რაც შეამცირებს ოპერატორის ხარჯებს და ხელს შეუწყობს 5G ქსელის სწრაფად განვითარებას.

კომისიის პასუხი: ასევე წინა კომენტარებში აღნიშნეთ, რომ კომისია მიესალმება ოპერატორების ერთობლივი ინვესტირებით ქსელის განვითარების პრაქტიკას. ასეთი ინიციატივის შემთხვევაში ხდება უფრო ლიბერალური მარეგულირებელი პირობების განსაზღვრა. ეს მიღწევადია ოპერატორების მხრიდან სურვილის არსებობის და შეთანხმების შემთხვევაში. კომისია მზად არის, კომპანიების მხრიდან ინიციატივის შემთხვევაში, მაქსიმალურად ჩაერთოს ამ პროცესში, როგორც საკონსულტაციო, ასევე მარეგულირებელი კუთხით.

4. ახალი საბაზო სადგურების მშენებლობისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა ოპერატორებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს და ამ ფართობით სარგებლობისთვის დღეს არსებული ფასები უნდა შემცირდეს.

კომისიის პასუხი: ეს საკითხი ცდება 5G განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტით განსაზღვრულ თემატიკას. თუმცა ამ კომენტართან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ უკვე მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა, სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარებასთან დაკავშირებით, რაც ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას 2014/61/EU, რომელიც სრულად მოაგვარებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე დაშვების პრობლემებსა და საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი გადაგზავნილია სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.

5. უნდა გამარტივდეს მუნიციპალური ორგანოებიდან ნებართვების აღების წესი.

კომისიის პასუხი: აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება კომისიის მიერ და ოპერატორები უშუალოდ მუნიციპალურ ორგანოებთან ან სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან მოლაპარაკების გზით აწარმოებენ ამ საკითხის დარეგულირებას.

საქართველოში 5G განვითარების საკითხით ასევე დაინტერესდნენ ფიზიკური პირებიც. კომისია უცვლელად წარმოგიდგენთ შ.შ.-ს და დ.თ.-ს მიერ გამოგზავნილ კითხვებს/კომენტარებს:

1. საქართველოში 5G დროულად დანერგვისთვის და ქვეყნის რეალური განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია დაჩქარებული წესით 2019 წლის ბოლომდე 5G-ზე ლიცენზირების საკითხი.

კომისიის პასუხი: კომისია იზიარებს ამ მოსაზრებას. 5G-ს განვითარების საკითხზე ფოკუსირებულია როგორც ევროპა, ასევე სხვა ქვეყნები, რადგან ამ სტანდარტის დანერგვა ძალიან მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის როგორც ტექნოლოგიურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველოსთვის 5G-ს დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც რეგიონალური მოთამაშისთვის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის.

შესაბამისად კომისია მიზნად ისახავს 2019 წელს 5G-სთვის განკუთვნილი სიხშირული სპექტრის ლიცენზირების საწყისი საფასურის განსაზღვრას და შესაბამისი სიხშირული სპექტრის ლიცენზირების გამჭვირვალე პროცესის წარმართვას.

2. 3600 – 3800 მგჰც სიხშირული ზოლის გამოთავისუფლება აუცილებელია დაჩქარდეს და კომისია არ უნდა დაელოდოს ლიცენზიის ამონურვის ვადას.

კომისიის პასუხი: კომისია მიიჩნევს, რომ 3400 – 3600 მგჰც დიაპაზონის გამოყოფა 5G-სთვის სრულად დააკმაყოფილებს ბაზრის და დაინტერესებული კომპანიების მოთხოვნას. შესაბამისად ამ ეტაპზე 3600-3800 დიაპაზონში რესურსის გამოთავისუფლების საკითხი გაცემული ლიცენზიების ვადის ამონურვამდე არ დგას.

3. მობილური ოპერატორებისთვის სიხშირული ლიცენზიის გაცემის სრულად გათავისუფლება დაუშვებელია, რადგან სიხშირული რესურსით მიღებული შემოსავლებიდან შესაძლებელი იქნება ფიქსირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარების თანამონაწილეობის სისტემის დაფინანსება სახელმწიფოსგან.

კომისიის პასუხი: სიხშირული რესურსის ლიცენზირება მობილური კავშირის ოპერატორებისთვის არასდროს ყოფილა უფასო, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი შეზღუდული რესურსი. უახლოეს მომავალში კომისია გეგმავს 5G სიხშირული დიაპაზონისთვის 1 მგჰც სიხშირული რესურსის სანყისი საფასურის განსაზღვრას. აღნიშნული საფასურის დასადგენად მიმდინარეობს ტენდერი, რომლის ფარგლებში შეირჩევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც ამ კუთხით დიდი გამოცდილება აქვს. კომისია გეგმავს სიხშირული რესურსის ღირებულება შეაფასოს ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რათა ფასი მაქსიმალურად ბუსტად შეესაბამებოდეს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის მოცემულობას.

რაც შეეხება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარებას და თანადაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან - უკვე ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორცაა „თუშეთის“ და „ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის“. ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეგიდით ხორციელდება საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ე.წ „თეთრი“ ზონების დაფარვას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურული ქსელით. ზოგადად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარება უფრო ფართო და კომპლექსური თემაა, რომელსაც ფარავს ქვეყნის ფართოზოლოვანი სტრატეგია და მოიცავს როგორც უშუალოდ ქსელის მშენებლობის დაფინანსების კომპონენტებს, ისე საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწას.

4. რეალური კონკურენციისთვის აუცილებელია დროულად მოგვარდეს მობილური ვირტუალური ოპერატორების საკითხი და აუცილებელია ყველა პოტენციურ ვირტუალურ ოპერატორს ჰქონდეს შესაძლებლობა მინიმუმ მობილური ინტერნეტის და განსაკუთრებით ე.წ. მოდემით მიაწოდონ ინტერნეტი მომხმარებლებს.

კომისიის პასუხი: აქტუალურობიდან გამომდინარე კომისიაში უკვე მიმდინარეობს MVNO პროექტზე მუშაობა და დასრულებისთანავე პროექტი გამოქვეყნდება საჯარო განხილვისთვის.

5. ხომ არ აჯობებდა მარეგულირებელ კომისიას აეღო ინიციატორის როლი და მოემზადებინა პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში არსებული მობილური ოპერატორებისთვის გამარტივებოდა 5G-ს დანერგვა, იგულისხმება საზიარო ქსელის შექმნის შესაძლებლობა დასაწყისიდანვე. რაც ოპერატორებს მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში ჩააყენებდა (დაზოგავდა რესურსებს) და შესაბამისად სიხშირეებზე მოთხოვნაც თანაბრად გაიზრდებოდა დასაწყისიდანვე.

კომისიის პასუხი: ქვეყნებში, სადაც უკვე ინერგება 5G, არსებობს პრაქტიკა რამდენიმე ოპერატორის მიერ ერთობლივი ინვესტირებით საზიარო ქსელის აშენების. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროექტის ფინანსურ მაჩვენებლებს. ეს ახლაც მიღწევადია ოპერატორების მხრიდან სურვილის არსებობის და შეთანხმების შემთხვევაში. კომისია მიესალმება ასეთ პრაქტიკას და კომპანიების მხრიდან ინიციატივის შემთხვევაში მზად არის მაქსიმალურად ჩაერთოს ამ პროცესში, როგორც საკონსულტაციო, ასევე მარეგულირებელი კუთხით.